

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმით დამტკიცდა 2022 წლის 21 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. 2021 წელში რგპ ფონდიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (თებერვალი);
3. მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებულ და მიმდინარე საქმიანობაზე (თებერვალი, სექტემბერი);
4. მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებულ და მიმდინარე საქმიანობაზე (თებერვალი, სექტემბერი);
5. მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2022 წელს მიმდინარე საქმიანობის შესახებ (მარტი, ოქტომბერი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
7. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (თებერვალი - ივლისი);
8. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაკრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (აპრილი-აგვისტო);
9. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (ივლისი-სექტემბერი);
10. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა (მარტი - მაისი);
11. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა (წლის განმავლობაში);
12. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა (წლის განმავლობაში);
13. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);
14. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 13 სხდომა, მათ შორის 12 რიგითი და 1 რიგგარეშე სხდომა; განხილულია 29 საკითხი, რომელთაგან ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანილია 27 საკითხი; მიღებულია 1 დადგენილება და 16 განკარგულება, მოსმენილია 10 ანგარიში.

კომისია შედგება 11 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრი წარმოადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 1 წევრი უფრაქციოა.